ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1915203

ნომერი: AR1310533

თარიღი : 15.05.2015

გაცემის თარიღი : 02.06.2015

გაცნობის თარიღი : 02.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აკაკი ბელიაშვილი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ორგანიზაცია:

- გეითვეი ჰოლდინგი კოდი: 204531499

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.12.2014 წლის #1637623 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში–სამსახური) 15.05.2015 წლის AR12310533 განაცხადით მომართა მაია რჩეულიშვილმა (პ/ნ01017003383) და მოითხოვა ამავე სამსახურის 11.12.2014 წლის #1637623 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.12.2014 წლის #1637623 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის შესახვევი, №12–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.01.004.084), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 12 დეკემბრიდან 2015 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.12.2014 წლის #1637623 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობების ციფრობრივი მაჩვენებლების გასწორებას. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 1746.3 კვ.მ–ის ნაცვლად 1752.3 კვ.მ–ის დაფიქსირებას. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. ასევე, საცხოვრებელი ფართობის ცვლილების შემდგომ, ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის ციფრობრივი მაჩვენებელი შეიცვლება და 1878.8 კვ.მ–ის ნაცვლად იქნება 1884.8 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.12.2014 წლის #1637623 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო და საცხოვრებელი ფართობების ციფრულ მაჩვენებლებად დაფიქსირდეს შემდეგი მონაცემები: საერთო ფართობი–1884.8 კვ.მ; საცხოვრებელი ფართობი–1752.3 კვ.მ; სხვა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.12.2014 წლის #1637623 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.